დანართი 1

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემმოწმების პროგრამა

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის შედგენის საფუძვლიანობისა და მისი წარდგენის საკითხების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე;

2. წლის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების სისწორე და რეალობა;

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის შემოსულობების (წყაროების მიხედვით) და მათი გამოყენების მდგომარეობა;

4. საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების გაანგარიშებისა და გადახდის სისწორე, მოქმედ კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობა;

5. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით" გათვალისწინებული სხვა საკითხები;

6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ მათზე განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

7. სტრუქტურულ ერთეულთა მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე შედგენილი ანგარიშების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ცენტრალურ აპარატში განხილვისა და მისი შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმილ ღონისძიებათა შესრულების მდგომარეობა;

8. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოცემული ნორმატიული ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობა;

9. სამუშაო გეგმების შედგენის, მათი შესრულებისა და შედეგების რეალიზაციის (რეაგირების) საკითხები;

10. აუდიტის დაგეგმვის, პრიორიტეტებისა და სააუდიტო ობიექტების შერჩევის, აუდიტის ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრის საკითხები. (გაანალიზებულ იქნეს დინამიკაში);

11. არაგეგმური აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები;

12. კანონმდებლობით გათვალისწინებული, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებისა და ანგარიშების შედგენა-წარდგენის საკითხები;

13. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილებათა რეალიზაციის საკითხები;

14. აუდიტის ანგარიშების (აქტების) და რეკომენდაციების აუდიტის ობიექტებზე გადაცემისა და ამ აქტების თაობაზე აღნიშნული ობიექტებიდან წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოდგენისა და განხილვის შედეგების საკითხები;

15. აუდიტის ანგარიშების (აქტების) დამტკიცების მდგომარეობა;

16. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დავების განმხილველი საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობა;

17. სამართალდამცავი ორგანოებისათვის აუდიტის მასალების გადაცემისა და მათზე რეაგირების საკითხები;

18. კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული საქმიანობა. აუდიტის სამსახურის სისტემაში კონკურსებისა და ატესტაციის ჩატარებისა და მოხელეთა რეზერვის ფორმირების საკითხები;

19. კადრების ოპტიმიზაციის ღონისძიებები, თანამშრომელთა სამუშაო დატვირთვის საკითხები;

20. საქმისწარმოების მდგომარეობა, მიღებულ-გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის, განხილვისა და რეაგირების საკითხები. საჯარო ინფორმაციათა ასლების ხელმისაწვდომობის (გაცემის) მდგომარეობა. საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის დანერგვის საკითხები;

21. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ფუნქციონირების საკითხები. ამ ინსტიტუტის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით სახელწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული მუშაობა;

22. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის წინამორბედი შემოწმებით გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიმდინარე საქმიანობაში გათვალისწინების მდგომარეობა;

23. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა; აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიური პრინციპების შესაბამისობა „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციასთან". განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის სისწორე ანგარიშთა გეგმის მიხედვით;

24. ფულადი სახსრებისა (მათ შორის ნაღდი ანგარიშსწორება) და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება. არამატერ იალური აქტივების აღრიცხვის მდგომარეობა;

25. სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროებიდან (საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები, გრანტები, ჰუმანიტარული დახმარებები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსულობები) სახსრების მიღება-გამოყენების სისწორე და რეალობა;

26. მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვრის სისწორე, სახელფასო და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვისა და გაცემის საკითხები, მათი შესაბამისობა საშტატო-საკადრო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცვის მდგომარეობასთან;

27. იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და დროული აღრიცხვის მდგომარეობა;

28. საანგარიშსწორებო-სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაფარვის მდგომარეობა;

29. ძირითად საშუალებებთან დაკავშირებულ ოპერაციები. ძირითადი საშუალებების რემონტზე გაწეული ხარჯების სისწორე; სხვა მატერიალური აქტივების მიღებისა და ხარჯვის აღრიცხვის საკითხები;

30. სახელმწიფო ქონების მიღების, აღრიცხვის, გამოყენების და დაცვის მდგომარეობა. ინვენტარიზაციათა ჩატარების დროულობა და ხარისხი;

31. მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვის სისწორე, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა მდგომარეობისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხები;

32. ბუღალტრულ აღრიცხვაში გამოყენებული დოკუმენტების ანალიზი, მათი შესაბამისობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით განსაზღვრულ (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) საბუღალტრო დოკუმენტებთან და სააღრიცხვო რეგისტრებთან;

33. პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების დამუშავების და მათ საფუძველზე განხორციელებული ბუღალტრული გატარებების შესაბამისობა პირველად დოკუმენტებთან;

34. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენის (მისი კორექტირების) შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან, საბიუჯეტო პარამეტრებთან;

35. განხორციელებული შესყიდვის საშუალებების შერჩევის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;

36. სატენდერო განცხადებებისა და ტექნიკური დავალებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. საკვალიფიკაციო დოკუმენტების სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობა;

37. გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების სისწორე და პირობების შეუსრულებლობისას განხორციელებულ ქმედებათა შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;

აუცილებლობის შემთხვევაში შესწავლილ იქნეს (მათ შორის შემხვედრი წესით) შემოწმების პერიოდში წარმოშობილი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.